


ქვემოთაა

გარეუბნის რაიონის ნორიოს სა-
შუალო სკოლის სპორტული მოედ-
ნები სოფლის ახალგაზრდობის თავ-
შეყრის ერთადერთ ადგილს წარ-
მოადგენდა. გაკეთებულების დაბრუნ-
ების შემდეგ აქ სწორად იმართე-
ბოდა შეჯიბრებები ადგილობრივ და
კოლმეურნე მოჭიდებებსა და ფრენ-
ბურთელებს შორის. მაგრამ მას
შემდეგ, რაც სპორტული ბაზები ხე-
ლის ერთი მოსმით დაანგრეს და
მათ ადგილზე ლენინის სახელობის
კოლმეურნეობამ სახელოსნოების
აგება დაიწყო, ყველაფერი წარსულს
ჩაბარდა.




ფიზკულტურელები დარჩნენ ბა-
ზების გარეშე. მალფუქალი სპორტ-
ინვენტარი — ტიპი, ხარისხა და სხვ.
სარდაფშია გამოკეტილი, ხოლო
უფრო გამძლე ორბელი, ტანვარჯი-
შული ბაქნის ჩაბრთვა, ეზოშია მიმო-
ფანტული. სკოლას არ გააჩნია სპორ-
ტული დარბაზი და ცხადია ფიზ-
კულტურის მასწავლებელ ვ. ოსეფა-
შვილის მიერ ჩატარებული გაკეთი-
ლები და სექციური მუშაობა ნაყო-
ბად წაყოფიერდა.
სკოლის დირექციის არაერთგზის
თხოვნის შემდეგ სოფსაბჭომ აფთია-
კის გვერდით მოედნებისათვის გამო-
ყო ტერიტორია. მართალია, იგი
სკოლიდან საქმით მანძილითაა და-
შორებული, მაგრამ სპორტს მონატ-

რებულ ბავშვებს ამაზე აღარ უფიქ-
რიათ, საკუთარი ძალებით მოასწო-
რეს მიწა, მოაწყეს ფრენბურთის
მოედანი. გაიმართა პირველი შე-
ხვედრები. მაგრამ საშველი არ და-
ადგა მის შემოღობვას, თუმცა საა-
მისო მავთულის ბაღე დიდხანია
საწყობში ეხდებოდა.
სკოლის ფიზკულტურულ კოლექ-
ტივს შესანიშნავი ტრადიცია აქვს.
აქ არაერთი და ორი მოსწავლეა,
რომლებსაც კარგად იცნობენ რაი-
ონში, როგორც საუკეთესო სპორტ-
სმენს. საჭიროა დირექციამ ახალ-
გაზრდებს შეუქმნას სათანადო პირო-
ბები, დაეხმაროს მათ ბაზების კე-

თილოწყობასა და შემოღობვაში, სა-
მაგიეროდ ფიზკულტურული კოლექ-
ტივი გაზრდის პერსპექტიულ ახალ-
გაზრდებს, რომლებიც მშობლიურ
სკოლას ისახელებენ რაიონულ და
რესპუბლიკურ შეჯიბრებაში. მათ
ამის მონღობეა აქვთ და საქმისად-
მი სიყვარულიც.
**შ. ესიტაშვილი,
გ. ქიმერიძე.**
სურათზე: ეს „ორბელი“ (სურ.
მარცხნივ) ერთ დროს ტანვარჯი-
შეთა აღზრდის ემსახურებოდა, ახლა
კი ძელებშემოგლეჯილი ყინვასა და
ქარს დარჩა სანაგაროდ. ვინ იცის

ზოგს
წვიმა
აფუჭებს,
ზოგს —
მტვერი




რამდენჯერ ჩაუვლიათ სა-
შუალო სკოლის მესვე-
ურთ ამ ძვირფასი ინვენ-
ტარის გვერდით ისე, რომ
შეგნებულად აურიდებოთ
თვალი მისთვის. უფრო
ბედკრულები აღმოჩნდნენ
ხარისხა, კალათბურთის ფა-
რები და სხვ. (სურ. მარ-
ჯვნივ), რომლებიც მარ-
თალია წვიმასა და ქარს გადაურ-
ჩნენ, მაგრამ სარდაფში გამოკეტილ-
ნი მტვერისა და ნაგავში „იხრჩო-
ბიან“.

საინტერესოა, რას ფიქრობენ მათი
შელომელი ორგანიზაციები. იქნება
არ იციან როგორ აქვთ შენახული
ინვენტარი, მაგრამ იმაზე რადს
იტყვიან, რომ თბილისის ქალაქის
აღმასკომმა აპრილში ერთხელ კი-
დეე მოაგონა შექმნილი მდგომარეო-
ბა და დაავალა ყურადღება მიექ-
ცათ ინვენტარისათვის?

პროექტი თუკვე გადასინჯვას მოითხოვს

კარგი ხანია ფოთში არსებობს გა-
ნათლებას სამინისტროს ბავშვთა
სპორტული სკოლა. ამის მიუხედავად
ქალაქის ნაკრები გუნდები ძალზე შე-
ზღუდულ შევსებას იღებენ მისგან.
მწვრთნელ-აღმზრდელთა საქმისადმი
უსულგულო დამოკიდებულებას გამო-
ნელი ტემპით იზრდება მოსწავლეთა
სპორტტექნიკური დონე. მთელ რიგ სა-
ხეობაში კი შეგვხვდებით ისეთ მოსწა-
ვლებსაც, რომლებსაც 2-3 წლის გან-
მავლობაში არავითარი წინსვლა არ
ეტყობათ. ჯგუფების ხელმძღვანელთა
უმეტესობა თავის საქმიანობას მე-
ცადინეობას უხარისხო ჩატარებით
განსაზღვრავს და ყურადღებას არ
აქცევენ ორგანიზაციულ საკითხებს.
თითქმის არცერთ მწვრთნელს ჯგუ-
ფების მეცადინეობის სადარბაზო
ეურნეობაში არ აქვთ მოსწავლეთა მი-
სამართები, ექიმის დასკვნები ბავშვ-
თა ჯანმრთელობის შესახებ, მასწავ-
ლეთა აკადემიური მოსწრება მეუბნე-
ლების მიხედვით, მწვრთნელთა უმე-
ტესობას ზედმეტად მიაჩნია ინდივი-
დუალურ დავალებათა მიცემა აღ-
საზრდელებზე და მათი შესრულების
შემოწმება. საქმისადმი ამგვარმა და-
მოკიდებულებამ განაპირობა ტანვარ-
ჯიშული და მძლეოსნური ჯგუფე-
ბის ძალზე დაბალი დონე.



სპორტსკოლის დირექციამ, ქალა-
ქის განათლების განყოფილებამ და
ფიზკულტურის კომიტეტმა კარგად
იციან, რომ საქმიანობა დაბინაყოფიერ-
ება მძლეოსნობის მწვრთნელის გ-
თალაყვადის საქმიანობა, რომელიც
კარგახანის წინა დღემთავრება ფიზ-
კულტურის ტექნიკში. იგი არ ცდი-
ლობს ერთხელ მიღებულ ცოდნის
გამდიდრების საბჭოთა მძლეოსნობის
მიღწევების შესწავლით, მისი გამოყე-
ნებით, ამიტომ ჯგუფში მხოლოდ
1 მეორე და 5 მესამეთანრიგოსანი
სპორტსმენია.

მაც მისი საფუძვლიანი შესწავლის
გარეშე მოკიდეს ხელი საქმეს.
ერთი ცხადია, ფოთის სპორტსკო-
ლას უნდა ჰქონდეს კარგი ბაზა და
რესპუბლიკის აძლეველ სათანადო
შევსებას ძლიერი სპორტსმენებით.

ო. გელაშვილი

სურათზე: ასე გამოიყურება დღეს
სპორტული სკოლის დარბაზის მშე-
ნებლობა.

სპორტულ სკოლაში ტანვარჯიშში
ოთხივე ჯგუფს ხელმძღვანელობს ბა-
თუმის პედაგოგიური ინსტიტუტის
კურსდამთავრებული ნ. აფხაზაძე,
რომელსაც სპორტის ამ სახეობაში
ოდესღაც მეორე თანრეამდე მიულ-
წევია. აღმზრდელის დაბალია ტექნი-
კურმა არსენალმა გამოიწვია ის, რომ
თავისი მუშაობის ოთხი წელს განმავ-
ლობაში მას მაღალი თანრიგის არც
ერთი სპორტსმენი არ მიუცია რეს-
პუბლიკისათვის, თუმცა სახარბილო
მდგომარეობა უფრო დაბალ თანრი-
გებშიც არ აქვს. მიმდართოთ ფაქ-
ტებს: ქალაქის მეორე საშუალო სკო-
ლის მოსწავლე ფოთოლა ქაჯაია 1953
წლიდან მეცადინეობს სპორტსკოლის
ტანვარჯიშულ ჯგუფში, მაგრამ
დღემდე ვერ გავდა მეორე თანრიგის
ნორმატივს. თუმცა ამ შედეგს მან
სამი წლის წინათ მიიღწია. სამი წლის
წინათ მოიპოვა მეორე თანრიგი მე-
ხუთე საშუალო სკოლის მოსწავლემ
ეთერი პროკოპენკომაც და ა. შ.

მუშაობისათვის არასათანადო პი-
რობები აქვს შექმნილი ნიჩბოსანთა
ჯგუფს, რომელსაც გამოცდილი
სპორტსმენი, საქართველოს არაერთ-
გზის ჩემპიონი გ. ქედია ამეცადინებს.
არ აქვთ ინვენტარი, ბაზა.
სპორტსკოლა თავშეფარებულია მე-
ორე საშუალო სკოლის სპორტდარ-
ბაში, რომელიც კარგა ხანია შეკე-
თებას საჭიროებს, კეთილმოეწყვე-
ლია გასახლებული, ვარჯიშის შემდეგ
აღსაზრდელებს არა აქვთ შხაპის მი-
ღების საშუალება, ზამთრობით დარ-
ბაში არ თბებოდა. თუ იმასაც დაუ-
მატებთ, რომ დარბაზში არასაკმარისი
რაოდენობითაა სპორტინვენტარი, ყვე-
ლაფერი ნათელი გახდება.

ფოთში კარგა ხანია საფუძველი
ჩაეყარა სპორტდარბაზის მშენებლო-
ბას სპორტსკოლისათვის, მაგრამ მის
დამთავრებას არაფერი ეშველა. საქ-
მის დამთავრებას შეუწყნარებლად
აქიანურებს ფოთის სარემონტო კან-
ტორა (უფროსი გ. იმნაძე), თუმცა
იმასაც ამბობენ, რომ პროექტი გა-
დასინჯვასა და გადაკეთებას საჭირო-
ებსო. თუ ეს მართალია, მაშინ პასუ-
ხი უნდა აგონ, როგორც დამპროექ-
ტებლებმა, ცუდი პროექტის შედგენი-
სათვის, ისე მშენებლებმა, რომლებ-

ნაცნობი სურათები

დღესასწაულის დღეებში ნავით
სეირნობა მოგვენატრა ამხანაგებს.
თბილისის ზღვას ვესტუმრეთ. სურ-
ვილი კი დავიკმაყოფილეთ, მაგრამ
საქმიანდ უსიამოვნო განცდებდით და-
ბრუნდით ქალაქში. ახალი სეზონი
ისე, როგორც თბილისის კულტურ-
ისა და დასვენების სხვა პარკებში,
აქაც პირველ მისს გაიხსნა, მაგრამ
სრულიად მოუზადებლად. მოუწყ-
ობელია მისასვლელები, დღემდე გა-
ლაუწყებელია ბაზის სასმელი
წყლით მომარაგების საკითხი, ფიზ-
კულტურის კომიტეტის საწყლოსნო
ბაზის მიმონგრეული ტერიტორია
აქტიური დასვენების ყოველგვარ
ინტერესს ანელებს.
საქმე იმაშია, რომ ქალაქის სპორ-
ტნაგებობათა სამმართველომ ძალზე
გვიან დაიწყო მისი კეთილმოწყობა.
მოედანი, სადაც მსუბუქი მანქანების
გასაჩერებელი უნდა გაკეთდეს, დღე-
მდე მხოლოდ მიწის გროვის წარმო-


აღგენს, როგორც იყო საწყლოსნო
სადგურის ტერიტორიაზე საფუძვე-
ლი ჩაეყარა ფრენბურთისა და კალა-
თბურთის მოედნებს, ორიოდე დღე
იმუშავეს მოედნის მოსწორებაზე,
მიწა გადაჩქჩქნეს და ყველაფერი
ამით დაამთავრეს. საშველი არ და-
ადგა სალაროსა და ნავმისადგომების
მოწყობას.

ელინგში, რომლის მშენებლობა
შარშან დამთავრდა, დღემდე წესრი-
გისა მოსაყვანი თაროები ნაგებისა-
თვის, ხოლო ინვენტარის შექმნე-
ბელ სახელოსნოებში, რომელიც
ელინგის ერთ კუთხეშია მოთავსე-
ბული, ჯოჯოხეთური სიბნელეა გამე-
ფებული. რატომღაც აქამდე ვერ
შეძლეს ფანჯრის გამოჭრა და ელექ-
ტროგანთების გაყვანა. შეკეთებას
საჭიროებს „ხალტურულ“ აგებუ-
ლი ელინგიც. სახურავს ყოველ წუთს
ახლით ემუქრება ქარი. ფიზკულტურ-
ის საქალაქო კომიტეტის ამ ბაზაზე
კარგა ხანია ჩამოყალიბებულია ია-
ლქიან ნაგებზე მოვარჯიშეთა სპორ-
ტული ჯგუფი, რომელშიც 15 სპორ-
ტსმენია გაერთიანებული, მაგრამ ვა-
რჯიშების ნორმალურად ჩატარება-
სათვის დღემდე ვერ შეძლეს კვალი-
ფიციური მწვრთნელის გამოკება,
რის გამო მეცადინეობები დაბალ-
დონეზე ტარდება.

„თბილისის ზღვის“ ტერიტორია-
ზე უპატრონოდ მიმობნეული ქა-
ლაქის სხვადასხვა დაწესებულე-
ბის არც თუ ისე ადვილად საშოვნია,
ათეულ ათასობით მანეთის ინვე-
ტარი, ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკის
კატერი, რომელიც შარშან მთელი
წლის განმავლობაში წყალში ეგდო
და ჟანგი ჰამდა, ნაპირზე ამოათრის

ბაზის მუშაკებმა, ხოლო
წყალთა მეურნეობის სა-
მინისტროს სარემონტო-მე-
ქანიკური ქარხნის ორი
ნავი მთელი ზამთრის
განმავლობაში წყალში
ლბებოდა. უარესი ბედო
ეწია თბილისის ორთქლმა-
ვალ - ვაგონშემკეთებელი
ქარხნის იმ კატერს, რომე-
ლიც საკუთარი ძალებით
ააგეს ქარხნის გუშებმა.
„თბილისის ზღვის“ უბეში
უპატრონოდ მიტოვებულს
ბზარი გაუჩნდა, წყლით
გავსო და ჩაიძირა.
დღემდე არ იქნა და
ვერ მოუქმენეს თავშესა-
ფარი „ბურევესტნიკის“
ისედაც მცირერიცხოვან
ინვენტარს. ძვირფასი ნავი
„სამეფო იახტა“ ქარსა
და წვიმაში ნადგურდება.

ო. ივლიშვილი, ზ. ვეფხვაძე





სურათზე: ვ. ჩხეიძე, რომელმაც ამ შეჯიბრებაში სპორტის ისტატის ნორმა შეასრულა და საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა სამბოში.

როგორც „ელქოს“ წინა ნომერში იყო გამოქვეყნებული, ჩვენი რესპუბლიკის შესანიშნავმა მძლეოსანმა რ. შავლაყაძემ აჩვენა ბრწყინვალე შედეგი გამორბენით სიმაღლეზე სტომაში — 2 მეტრი 08 სანტიმეტრი. უნდა აღინიშნოს რომ შავლაყაძე ნახტომს ასრულებს ყველაზე რაციონალური — გადავლების სტილით, რომლის ტექნიკა მას სრულყოფილად აქვს ათვისებული. ვარდა ამისა, იგი ხმარობს ჩვეულებრივ მძლეოსნურ სახტომ ფეხსაცმელს ყოველგვარი სქელი ფანჯის გარეშე.

ამავე დღეს გაიმართა რესპუბლიკის უძლიერეს მძლეოსანთა გამოსვლები სხვა სახეობებში. საინტერესო იყო ვაჟთა რბენა 200 მეტრზე. სტარტიდან დაწინაურდა „სრომითი რეზერვის“ წარმომადგენელი ნ. კლიუევი, მაგრამ მოსახვევის შემდეგ, როცა ფინიშიმდე დარჩენილი იყო 30-40 მეტრი, წინ გაიჭრა რ. ტრაპაძე, რომელმაც დაიკავა პირველი ადგილი მაღალი შედეგით — 21,8. ამრიგად, რ. ტრაპაძემ (მწვრთნელი ბ. დიარკოვი) დაიკავა პირველი ადგილები 100 და 200 მეტრზე რბენაში, აგრეთვე თარჯნბენში 200 მეტრზე. კარგ შედეგს მიაღწია მოსწავლე გოგონამ მ. დიარკოვამ (მწვრთნელი ი. კლიაშვილი), რომელმაც ბირთვი ჰქრა 13 მეტრსა და 19 სანტიმეტრზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მ. დიარკოვა სისტემატურად აუმჯობესებს თავის მარვენებლებს ბირთვის კვარში.

ამას წინათ ბათუმში ჩატარებულ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში პირველად შეასრულა პირველი თანრიგის ნორმატივი სიგრძეზე ხტომაში 16 წლის თბილისელმა მოსწავლე გოგონამ ლ. იევლევა (მწვრთნელი ა. კონსტანტინოვი). ამჯერად ლ. იევლევა საგრძნობლად გააუმჯობესა თავისი შედეგი 5 მეტრი 74 სანტიმეტრი, რომელიც მან გადალახა, დიდი მიღწევით. მეორე ადგილი ამ სახეობაში დაიკავა ფიჭულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ა. ზვიგანმა (მწვრთნელი ე. გოკიელი) — 5 მეტრი 83 სმ, რომელმაც მანამდე მოიგო სპირინტული რბენა 100 და 200 მეტრზე.

17-18 წლის გოგონათა ახალი რესპუბლიკური რეკორდით დაამთავრა შეჯიბრება ხუთქიდეში ლ. ვოლოშინამ (მწვრთნელი ვ. ლაბუნსკი).

ჩვენი მძლეოსნები დიდი ხნის განმავლობაში ვერ ახერხებდნენ დაეძლიათ პირველი თანრიგის ნორმა შუბის ტყორცვაში — 65 მეტრი. წელს ეს შეძლო ფიჭულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ვ. შავოვამ (მწვრთნელი ვ. შმაკოვი), რომელმაც დაამყარა ახალი რესპუბლიკური რეკორდი — 65 მეტრი 93 სმ. ამ შეჯიბრებაზე ვ. შმაკოვის მეორე მოწაფე ი. გიგაურმა აგრეთვე შეასრულა პირველი თანრიგის ნორმა და შუბი ტყორცვაში 65 მეტრსა და 21 სანტიმეტრზე.

უძლიერეს მძლეოსანთა რესპუბლიკური შეჯიბრება დამთავრდა. მონაწილეებმა აჩვენეს სპორტის ოსტატის ნორმის შესაბამისი შედეგები, 19 — პირველი თანრიგისა, დაამყარებულ იქნა 5 რესპუბლიკური რეკორდი. ყველაფერი ეს დიდი წარმატებაა, მაგრამ მძლეოსნობის ზოგიერთ სახეობაში ჩამორჩენა გრძელდება. ეს პირველ ყოვლისა ითქმის ვაჟთა რბენის შესახებ საშუალო და გრძელ დისტანციებზე, ბირთვის კვარზე. ქალები ჯერჯერობით ჩამორჩებიან 100, 400 და 800 მეტრზე რბენაში, აგრეთვე შუბის ტყორცვაში.

საქირა უფრადლების გამახვილება ჩამორჩენილ სახეობებში ლიკვიდაციისათვის.

ა. ირინაშვილი

ა. ირინაშვილი

ა. ირინაშვილი

ა. ირინაშვილი

ა. ირინაშვილი

შეჯიბრება ნაკლოვანებებით

მაისის პირველ რიცხვებში ფიჭულტურის ცენტრალური სახლის ჰოგბურთის კორტებზე დაიწყო დელაქაქის გუნდური პირველობა ჰოგბურთში გოგონებისა და ქაბუკებისათვის, რომელიც წელს პირველად ტარდება. გათამაშების ფინალში (ქაბუკები) ერთმანეთს შეხვდნენ „ბურვესტნიკსა“ და განათლების განყოფილების კოლექტივები. აქ „სპორტა“ იყო მოსწავლეთა უპირატესობა და მატჩიც მათი გამარჯვებით ანგარიშით 4:1 დამთავრდა. მეორე ადგილზე გამოვიდა „ბურვესტნიკი“, მესამეზე — „დინამო“. გოგონათა გუნდებს შორის გამარჯვება მოიპოვეს აგრეთვე მოსწავლეებმა, რომლებმაც ფინალში დაამარცხეს „ბურვესტნიკი“ — 4:1.

მაის შემდეგ დაიწყო პირადი პირველობა, რომელშიც 120 ქაბუკი და გოგონა მონაწილეობს. გათამაშება ოთხ ასაკობრივ ჯგუფებს შორის მიმდინარეობს. უკვე ჩატარდა 50-მდე შეხვედრა. აქედან სპორტსმენებს 15 გამარჯვება მიენიჭათ მოწინააღმდეგის გამოუცხადებლობის გამო, რაც როგორც მწვრთნელთა, ისე ორგანიზაციების ხელმძღვანელთა სუსტი და უპასუხისმგებლო მუშაობის შედეგია. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ხანებში ჰოგბურთელთა პირველობებში შეჯიბრებაზე გამოუცხადებლობა ძალზე გახშირდა და ეს სამარცხენო საქმე არავის არ აღუვლებს. კადე ერთი შენიშვნა: გუნდური პირველობის ჩატარების დროს გუნდები შეიქმნებიან ატარებენ ერთმანეთთან (ხუთი ერთეულთა და ორი წყვილთა). როგორც წესი, პირველად ერთმანეთს ხვდებიან ერთეულები და საქმარისა, რომ ერთეულმა გუნდმა დააგროვოს გამარჯვებისათვის საქირო ოთხი ქულა, რომ წყვილთა შეხვედრები არ ტარდება. ეს კეთდება თითქმის დროის ეკონომიის გამო. ჩვენ კი გგონია, რომ ეს შეჯიბრების სუსტ ორგანიზაციაზე მეტყველებს.

ლ. თუშიშვილი

რაიონის პირველობაზე

ამ დღეებში ყვარელში ჩატარდა რაიონული შეჯიბრება ქართულ კუდაობაში ქაბუკებს შორის, თვითნებურად კატეგორიებში პირველი ადგილი მოიპოვეს ნ. სეფაშვილმა, ო. საშიტაშვილმა, ნ. ქარუნაშვილმა (სამივე ყვარელი), ვ. თანდილაშვილმა (გავაზი), ბ. აბაზოვამ (ყვარელი) და თ. ნარეკლიშვილმა (გავაზი).

გ. გურასხიშვილი

შეჯიბრება

„ბურვესტნიკი“ იბრძვის დაუპარსხებლად

თბილისი. „ბურვესტნიკის“ სტადიონი. 6 მაისი. „ბურვესტნიკი“ (თბილისი) — სამხედრო ოლქის სპორტული კლუბი (როსტოვი) — 2:0 (2:0). „ბურვესტნიკი“: რუხაძე; გავუა, კუჭავა, წოწელია; მუმლაძე, სიკინავა; იაშვილი, ხაზარაძე, ზეინკლიშვილი (ჩიჩუა), ურთქმელიძე, ხოქოლაძე. სკვო: კიკტოვი; მინჩინი, ბოჩაროვი, გეიზერი; ჩერტოვი, პავლოვი; პოდოკინი, ეგზოროვი, სტრეშნი, ვოლჩინკოვი (შვეცი), მოსალევი. მსაჯი გ. გრიგორიანი (ერევანი).



სურათზე: თბილისის „დინამოს“ და მოსკოვის „ლოკომოტივის“ მატჩი. მოსკოველთა თავდახსნეული სოკოლოვი ცდილობს თბილისელთა დაცვას (დოლობერიძე, სიკინავა) გარღვევას. ფოტო ა. ხომიჩისა

ნავ დაავიანა და საკუთარ კარში ჩაჭრა იგი — 1:0. გატანილი გოლის შემდეგ თამაში საგრძნობლად გათანაბრდა. „ბურვესტნიკის“ თავდასხმელები უფრო აქტიურად იბრძოდნენ მოწინააღმდეგის ნახევარზე და ნახევარმცველებსაც თავისუფალი მოქმედების მქონე საშუალება ჰქონდათ. ტიპის დასასრულს ურთქმელიძემ გადაინაცვლა მარცხენა ფრთაზე, ჩააწოდა იქვე ახლოს მყოფ ხაზარაძეს, რომელმაც ბურთი მოტრიალებით გაგზავნა კარში — 2:0.

შესვენების შემდეგ არმიელები დიდხანს ცდილობდნენ შედეგის მიღწევას, მაგრამ თბილისელთა დაცვა, სადაც განსაკუთრებით გამოირჩეოდა კუჭავა, წარმატებით იგერიებდა მათ იერიშებს. თბილისის „ბურვესტნიკის“ ახ-

ალგაზრდულმა გუნდმა მოიპოვა მეორეი გამარჯვება ანგარიშით 2:0.

რ. ქორიძე

სტავროპოლი. 6 მაისი. (ტელეგრაფი). აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის მეოთხე ზონის გუნდებს შორის. თამაშობდნენ „სპარტაკი“ (სტავროპოლი) — სამხედრო ოლქის სპორტული კლუბის გუნდი (თბილისი). მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

კრახნოდარი. 6 მაისი. (ტელეგრაფი). ადგილობრივმა „ყუბანმა“ თავის მოედანზე მიიღო ქუთაისის „ლოკომოტივი“. თამაში მოიგო „ყუბანმა“ ანგარიშით 4:1.

და 20 წუთს. ჯგუფებში გამარჯვებული გუნდები პირველი ადგილის გამოსავლენად ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ ფინალში. აღსანიშნავია, რომ გუნდებს, რომელთა შემადგენლობაში იყვნენ არა უმეტეს 21 წლის მოთამაშეები, დღეში უხვდებოდათ 2 მატჩის ჩატარება. მოსკოვის „ტორპედო“ დაამარცხა თვითნებურად „აიაქსი“ — 4:1, „ტურუ“ — 3:1, „ტორინო“ — 2:0.

ფინალში „ტორპედო“ შეხვდა „ვესტ ჰემ უნიტედს“. მიუხედავად იმისა, რომ მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0, გამარჯვება მიეკუთვნათ

3 მაისს შედგა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

I ზონა რუსთაველი თამაშობდნენ ადგილობრივი „მეტალურგისა“ და სსრ ქართველოს ფიჭულტურის ინსტიტუტის გუნდები. ერთადერთმა გატანილმა ბურთმა გამარჯვება მოუტანა მასპინძლებს — 1:0.

თბილისში ერთმანეთს შეხვდნენ ტრამპვი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდი და სტალინის „სპარტაკი“. საინტერესო მატჩი დამთავრდა ტრამპველთა გამარჯვებით: ანგარიშით 4:2.

დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა შეხვედრა თელავში ადგილობრივ „სპარტაკსა“ და გორის „განთიადს“ შორის. მოიგეს მასპინძლებმა მინიმალური ანგარიშით 1:0.

დიდი მონდომებით, ენერგიულად ჩაატარეს მატჩი სოხუმის დინამოელებმა ქუთაისში ადგილობრივ თანაკლებულთა წინააღმდეგ და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1.

პირველი გამარჯვება მიმდინარე გათამაშებაში მოიპოვა ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლის გუნდმა (თბილისი), რომელმაც ქობულეთში დაამარცხა ადგილობრივი „კოლმეურნი“ — 1:0.

II ზონა ზუგდიდის „ოდიშს“ მატჩი ჰქონდა ქუთაისში ადგილობრივი „ტორპედოსთან“. უპირატესობა ტრამპველთა მხარეს იყო, რომლებმაც გამარჯვეს ანგარიშით 2:0.

საინტერესო მატჩი შედგა ფოთში ადგილობრივი ფეხბურთელებსა და თბილისის 26 კომ. სახ. რაიონის გუნდებს შორის. თამაში დამთავრდა ფრედ — 2:2.

ლანჩხუთის „კოლმეურნის“ თამაში მორიგი მატჩი ჰქონდა ბათუმში „დინამოსთან“. ანგარიშით 2:0 გამარჯვება მოიპოვეს დინამოელებმა.

90 წუთის განმავლობაში არ ყოფილა გატანილი ბურთი მახარაქის „კოლმეურნისა“ და „კიათურის“ მადარიელს შორის — 0:0.

რუსთაველი თამაშობდნენ ადგილობრივი „სხივი“ და სამტრედიის „ლოკომოტივი“. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

მეორე ჯგუფი. I ზონა. „განთიადი“ (წყალტუბო)-„სპარტაკი“ (სახხერე) — 1:1, ადგილ. გურუქა — სამართ. (ქუთაისი)-„იმერეთი“ (ზესტაფონი) — 1:1, „განათლება“ (დიდი ჯიხაში)-ლენინის სახ. „შახტი (ტყიბული) — 1:3, წულუკიძე (ნაკრები)-„ცისკარი“ (ბათუმი) — 1:1.

II ზონა. „ბაზარო“ (ჩოხატაური)-„განთიადი“ (ბათუმი) — 4:2, „კოლიდა“ (ხობი)-გულაუთა (ნაკრები) — 3:0, „სპარტაკი“ (ცხაკია)-გაგრა — 2:1.

III ზონა. „ჩანჩქერი“ (ბორჯომი)-ორთქლ. ვაგონშემკეთებელი ქარხანა (თბილისი) — 0:1, „ლოკომოტივი“ (ხაშური)-„დურუჯი“ (ყვარელი) — 2:0, ახ. საფეხს. სკოლა II (თბილისი)-„ტორპედო“ (თბილისი) — 2:0, „კოლმეურნი“ (ბოლნისი)-„კოლმეურნი“ (გურჯაანი) — 1:1.

IV ზონა. „შრ. რეზერვები“ (თბილისი)-„ლოკომოტივი“ (გურჯაანი) — 4:2, სკოლა I (თბილისი)-„სტრითიკული“ (რუსთაველი) — 9:0, „რეზერვები“ (თბილისი)-შახტი №1 (ახალციხე) — 1:3, „თრიალეთი“ (წყალა) — „წინანდალი“ (თელავი) — 2:0.

„ტორპედო“ პირველ ადგილზე

ბელგიის ქალაქ გენტში მაისის პირველ დღეებში ჩატარდა სპორტული ფესტივალი, რომლის პროგრამაში შედიოდა ქაბუკ ფეხბურთელთა სავრთაშორისო ტურნირიც.

შეჯიბრებაში მონაწილე გუნდები დაყოფილი იყვნენ 2 ჯგუფად. „ა“ ჯგუფში თამაშობდნენ „ტორპედო“ (მოსკოვი, სსრ კავშირი), „ტორინო“ (ტურინი, იტალია), „არა ლანტუაზი“ (გენტი, ბელგია), „ტურუ“ (დიუსელდორფი, გერმანიის ფედ-

რალური რესპუბლიკა), „აიაქსი“ (ამსტერდამი, ჰოლანდია), „ბ“ ჯგუფში იყვნენ: „ვესტ ჰემ უნიტედი“ (ლონდონი, ინგლისი), „დუსისბურგერ შვ“ (დუსისბურგი, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა), „სტად დე რეიში“ (რეიმი, საფრანგეთი), „ბურსკოტი“ (ანტვერპენი, ბელგია), „რესინგ კლუბი“ (გენტი, ბელგია).

თამაშები ჯგუფებში მიმდინარეობდა წრიული სისტემით, ყოველი ტიპის ხანგრძლიობა არ აღემატებო-

XIX ჩემპიონატი



სვალ, მ. მაისს, თბილისში რესპუბლიკურ ცენტრალურ საკადრაკო კლუბში გაიმართება საქართველოს XIX საკადრაკო ჩემპიონატის საზეიმო გახსნა.

ტურნირში ჩემპიონის საპატიო სახელისათვის ბრძოლაში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი რესპუბლიკის უძლიერესი მოჭადრაკეები, ოსტატები ბ. გურგენიძე, პ. კასპარიანი, მ. შიშოვი, ა. ბუხლაივი, ოსტატობის კანდიდატები საქართველოს 1957 წლის ჩემპიონი ა. ზღაგაძე, თ. გიორგაძე, გ. კალატიანი, ა. ბრეტიანი (ტყეპარიელი), პირველთაწარგონები გ. მჭავარიანი, თ. ლომია, ა. ივოზიციოვი, გ. გამრეკელი, ი. ლოლუა (ფოთი), ა. რაზოფსკი და ა. გაგუა (ქუთაისი), პ. მორჩილაძე (აქარა), თ. ბელთაძე (დუშეთის რაიონი) და მ. დემურია (ზუგდიდი).

შეჯიბრების მთავარი მსაჯეი საქართველო კატეგორიის მსაჯე გაჩეჩილაძე.

ჩემპიონატში გამარჯვებულთა რაიონებიდან შერჩევა ჩვენი რესპუბლიკის გუნდი, რომელიც წარსდგება საბჭოთა კავშირის გუნდურ პირველობაზე, რომელიც ივლისის თვეში ვილნიუსში გაიმართება. ამასთან ჩემპიონატი გამოავლენს აგრეთვე საბჭოთა კავშირის XXVI ჩემპიონატის ნახევარფინალის ორ მონაწილეს ბ. გურგენიძეს ჩაუთვალედა, რომელსაც ამ შეჯიბრებაში მონაწილეობის პერსონალური უფლება აქვს.

ბრძოლა ჩემპიონატში გაგრძელდება 7 ივნისამდე.



სოსუმში ჩატარდა პრესის დღი სადმი მიძღვნილი კომბინირებული ანაბრების მძღონების, ნიბოს ნებისა და ველისბიტიტების მონაწილეობით. პირველ სურათზე თქვენ ხედავთ ანაბრების ფინიშს, რომელიც მძღონის თა ბრძოლით დაგვირგინდა. მეორე სურათზე ახლებილია ანაბრის ზღა და ნმელეთზე გადმოსვლის მომენტი. მესამე სურათი წარმოგიდ გენთ ანაბრების გამარჯვებულ გუნდის — „დინამოს“ დაჯილდოებას.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (მოკის) სხდომები ყოველთვის მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. ეს გასაგებია, რადგან მოკი საერთო ხელმძღვანელობას უწევს დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებს და პირველ რიგში ოლიმპიურ თამაშებს. მაგრამ მოკის არც ერთ სესიას არ გამოუწვევია ისეთი ცხოველი ინტერესი, როგორც გასული წლის სექტემბერში სოფიაში ჩატარებულმა 15-მე სესიამ გამოიწვია. ამ სესიაზე წუდებოდა XVII ოლიმპიური თამაშების (რომში) და ზამთრის VIII ოლიმპიური თამაშების (სკოველში) პროგრამის საკითხი.

მელბურნის ოლიმპიადის შემდეგ დიწყო გაცხოველებული კამათი მომავალი თამაშების პროგრამის შესახებ. პოლემიკის მონაწილეთა უმრავლესობა იმ აზრისა იყო, რომ საჭიროა ოლიმპიური თამაშების პროგრამის გაზრდა, რათა მან უფრო ზუსტად ასახოს თანამედროვე სპორტის მდგომარეობა. მაგრამ ზოგიერთების აზრით თამაშების პროგრამის გაზრდა გამოიწვევდა მონაწილეთა რიცხვის მომატებას და ე. ო. ფინანსური მხარის ზრდას. ფიქრობდნენ, რომ ოლიმპიური კომიტეტი დათანხმდებოდა სპორტის ზოგიერთი სახეობის (ფეხბურთის, კალათბურთის, წყალბურთის, ველსპორტის) პროგრამიდან ამოღებას და მონაწილეთა საერთო რაოდენობის შემცირებას.

სოფიის სესიაზე ბრძოლა უმთავრესად ამ ორი შეხედულების მომხრეთა შორის გაიმართა. და უნდა ითქვას, რომ ყველაზე თანმიმდევრულად თავიანთ იდეას

ავითარებდნენ საბჭოთა კავშირისა და დემოკრატიული ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებიც პროგრამის გაზრდის მომხრენი იყვნენ. გადაწყდა, რომ შემდგომში აღარ იქნება სახეობების დაყოფა სავალდებულოდ და ფაქულტატურად. მოკმა ოლიმპიურ სახეობად აღიარა: მძღონობა, აკადემიური ნიბოსნობა, ფარიკაობა, ტანვარჯიში, ჭიდაობა, ცურვა და წყალში

პროგრამა, რომელიც თითქმის არაფრით არ განსხვავდება ლონდონის, მელბურნისა და მელბურნის ოლიმპიური თამაშებისაგან. მძღონობა, მელბურნის ოლიმპიადის პროგრამა მთლიანად იქნა შენარჩუნებული, მძღონობის საერთაშორისო ფედერაციის წინადადება მიეცა მონაწილეთა შემცირების საკითხის შესწავლის შესახებ. ფედერაციის პრეზიდენტ-

ფარიკაობა. დამტკიცდა ისეთივე პროგრამა, როგორც მელბურნის, საერთაშორისო ფედერაციის წინადადება მიეცა შეამციროს მონაწილეთა რიცხვი და დააზუსტოს გუნდური შეჯიბრების პირობები.

სოლოა. გადაწყდა პროგრამიდან „გაქცეული ირმები“ საიზნის და კიდევ ერთი რომელიმე სახეობის ამოღება. ასე რომ რომში სოლოის 7 სახეობის ნაცვლად შეჯიბრება მოეწყობა 5 სახეობაში.

აკადემიური ნიბოსნობა. მთლიანად შენარჩუნებულია მელბურნის პროგრამა, მაგრამ საერთაშორისო ფედერაციამ უნდა განიხილოს საკითხი სათადარიგო მონაწილეთა რიცხვის შემცირების შესახებ.

ცურვა და წყალში სპორტობა. გადაწყდა ძველი პროგრამის დატოვება, მაგრამ ისევე, როგორც მძღონობაში, საერთაშორისო ფედერაციის წინადადება მიეცა შეამციროს შეჯიბრებაში მონაწილეთა რიცხვი.

ცხენოსნობა. გუნდური ჩათვლა ამოღებულ იქნა შეჯიბრების სამივე სახეობიდან. ველსპორტი. მოიხსნა გუნდური ჩათვლა საგზატყვილო რბოლაში და დაიხსნა საკითხი სათადარიგო მონაწილეთა რიცხვის გაუქმების შესახებ ამ სახეობაში.

თანამედროვე ხუთბრუნე. გადაწყდა გუნდური ჩათვლის ამოღება. საერთაშორისო ფედერაციის დაევალი შეიმუშავოს პროექტი მონაწილეთა რიცხვის 60-მდე დაყვანის შესახებ.

საიალქნო სპორტი. ძირითადად უცვლელი დარჩა. მხოლოდ 18 კვ. მეტრის კლასის ნაგების ნაცვლად შეიკრება ჩატარდება „ფრინავ პოლანდიელებით“.


საბაილარო ნიბოსნობა და კანოე. ხანგრძლივი კამათის შემდეგ მოკმა გადაწყვიტა 10.000 მეტრზე შეჯიბრების ორივე სახეობის ამოღება. ამასთან ფედერაციამ უნდა გადაწყვიტოს კიდევ რომელი ორი სახეობის გაუქმება შესაძლებელი. სულ საბაილარო ნიბოსნობასა და კანოეში 7 ოქროს მედალი გათამაშდება.

ფეხბურთი, წყალბურთი, კალათბურთი და ბალახის ჰოკეი. დამტკიცდა ისეთივე პროგრამა, როგორც მელბურნის იყო. რომში ჩამოვა (ყოველ სახეობაში) ფედერაციის მიერ სპეციალურად შერჩეული 16-16 გუნდი.

3. ვლადიმეროვი

იუპორის გარეშე

ინგლისის ფეხბურთელთა გუნდის „ფორესტროლისა“ და „მელბურნის“ მატჩის დროს, როგორც ჩანს მსაჯეი ტულ გუნდებზე იყო. თამაშის მსვლელობაში მან მოეწინააღმდეგა ექვსი მოთამაშე. „მელბურნის“ პიტანმა მას ხუმრობით შესთავაზა „ბარე დასარჩენებში გაათქვე და და შენ ჰალარაი ვითამაშოთ“. მსაჯეი კაპიტანი გააძევა და ამ უთანასწორობა მოედინის დატოვებისას შერბორობის ერთთა: ან მსაჯე არ გააანთმობის გრძნობა, ანდა არ იტრომ ჰალარაიკს მე ძალან არ უნდა ვითამაშოთ.



ხტობა, ცხენოსნობა, საიალქნო სპორტი, კრივი, საბაილარო ნიბოსნობა და კანოე, ძალოსნობა, განდობი, ბალახის ჰოკეი, თანამედროვე ხუთბრუნე, სოლოა, ფეხბურთი, ველსპორტი, წყალბურთი, კალათბურთი და ახალი სახეობები: ფრენბურთი და მშვილდოსნობა. მოკმა ერთხმად უარყო წინადადება თამაშების პროგრამიდან სპორტის გუნდური სახეობების ამოღების შესახებ.

რომის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებმა შეიტანეს წინადადება ოქროს მედალების შემცირების შესახებ: ტანვარჯიშიში — 11-მდე, სოლოაში — 3-მდე, ცხენოსნობაში — 2-მდე, თანამედროვე ხუთბრუნე ერთხმად და საბაილარო ნიბოსნობასა და კანოეში — 4-მდე, ხანგრძლივი თათბირისა და აზრთა გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლის შედეგად დამტკიცდა XVII ოლიმპიური თამაშების

მა ეკსტერმა განაცხადა: „რომც მოხდეს რაიმე შემცირება, მაინც დააყენებს წინადადებას პროგრამაში ქალთა 800 მეტრზე რბენის შესატანად“.

ტანვარჯიში. წინადადება იმის შესახებ, რომ 15 ოქროს მედალის ნაცვლად გათამაშდეს მხოლოდ 4, ვერ ჰპოვა მხარდაჭერა, რადგან ასეთ შემთხვევაში ტანვარჯიში სპორტის მეორეხარისხოვან სახეობად გადაიქცეოდა. რომში გათამაშდება 14 ოქროს მედალი (ახლოლტური ჩემპიონის სახელი-სათვის, გუნდურ პირველობებში და ცალკეულ იარაღებზე გამარჯვებისათვის). ყოველი გუნდის შემადგენლობაში შევა არა ექვსი კაცი, როგორც უწევს იყო, არამედ 5 (ჩათვლა 4 საუყეთესოს შედეგით).

კრივი, ჭიდაობა, ძალოსნობა. პროგრამა დარჩა უცვლელი.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი

შედგენაკრები გუნდები

სამ კვირას გრძელდებოდა თბილისის ე. ო. ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სტუდენტთა VIII ტრადიციული სპარტაკიადი.

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც პირველობის ძირითადი პრეტენდენტები იყვნენ საამშენებლო და მექანიკური ფაკულტეტების კოლექტივები. შეხედულების ბოლომდე გამოურკვეველი იყო ვინ იქნებოდა სპარტაკიადის ჩემპიონი. უკანასკნელ დღეებში საამშენებლო ფაკულტეტის მოტურავეების მიერ საპრიზო ადგილის დაკარგვამ პირველობის ბედი გადაწყვიტა მექანიკური ფაკულტეტის საპარაგებლოდ.

სპარტაკიადის მსვლელობის პერიოდში ასევე მეტმა სპორტსმენმა აჩვენა სათანადო ნორმატივი. შედგა ინსტიტუტის ნაკრები გუნდები სპორტის ყველა იმ სახეობაში, რომლებიც შეტანილია „პურევესტნიკის“ რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამაში.

რ. მახვილაძე

შემდეგ საერთო გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს ინგლისური ენის ფაკულტეტის სპორტსმენებმა, მეორე ადგილზე გამოვიდნენ გერმანული ენის ფაკულტეტის, ხოლო მესამე — ფრანგული ენის ფაკულტეტის სტუდენტები.

დაკომპლექტებულა ნაკრები გუნდები.

რედაქტორი ი. უბუღაძე

სპორტული პრინციპი

დღეშეთის რაიონის სოფელ ანანურის საშუალო სკოლაში ამას წინათ ჩატარდა შიდასკოლო შეჯიბრება ფრენბურთში. პირველი ადგილი დაიკავებდა X კლასის გუნდმა. 24 აპრილს სკოლის ფეხბურთელთა გუნდმა შეხვედრა გამართა დღეშეთის ნაკრებთან. მატჩი დამთავრდა ნაკრების გამარჯვებით 4:3.

ი. ჩიტაური

გაზაფხულის დადგომასთან ერთად ამოქმედდნენ ამბეტის რაიონის სოფელ ქვემო ალვანის საშუალო სკოლის ფეხბურთელი წარგები. ამას წინათ მშვილდოსნობის სექციამ, რომელშიც 25 მოსწავლეა გაერთიანებული, ჩატარა სანტარეის თა შეჯიბრება. 40 შესაძლებელია 25 ქულას მატარებლობით X12 კლასელმა გ. შაბალიძემ პირველი ადგილი დაიკავებდა.

ლ. ჭირკვანიძე

საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩატარდა საგაზაფხულო პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში ფაკულტეტებს შორის, რომელშიც მონაწილეობდნენ მე-3 თანრიგის მქონე და ახალბედა ტანმოვარჯიშეები. კარგ შედეგს მიიღწია ენერგეტიკის ფაკულტეტის გუნდმა, რომელმაც 298,18 ქულით პირველი ადგილი დაიკავა.

გ. ზოზოშვილი.

სამტრედიის რაიონში ჩატარდა მეორე ტურის ფინალური შეჯიბრება 1958 წლის რესპუბლიკურ საგაზაფხულო კრასში. აღნიშნულ შეჯიბრებაში 500 მ. დისტანციაზე გოგონებს შორის პირველ ადგილზე გამოვიდა მ. მენაბდე, ხოლო 1000 მეტრზე ჭაბუკებს შორის — გ. ლევიკოვილი.

1000 მეტრ დისტანციაზე ქალებს შორის უძლიერესი იყო ნ. გუჩინაძე. 5000 მ. ვაეთა შორის კი — ვ. ზარნაძე.

საერთო გუნდური პირველი ადგილი 11 ქულით დაიკავა დიდი ჯიხიშის ტენჯემმა.

გ. ვაშაძე.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 18. დეკემბრისათვის თბილისი, „ილემი“. ტელეფონები: რედაქტორის — 8-89-83, 3-მე. მდივნისა და განყოფილებების — 8-90-84, მორიგისა და გამომწვევის — 8-01-06.